www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 27 ნოემბერი, 2013 წელი. | №3416 (223) | ფასი 50 თეთრი

უკრაინის ხელისუფლება სამმხრივი ზეწოლის პირობებში

ივა შილაკაძე

უკრაინაში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. გუშინ წვრილმან ინციდენტებს ისევ ჰქონდა ადგილი. მთავრობა ხალხს კონკრეტულად ვერაფერს ეუბნება - ვერც ევროინტეგრაციასა და ვერც რუსეთთან სიტუაციის მოგვარებაზე. ევროკავშირი კვლავ აცხადებს, რომ ხელშეკრულებების ხელმოსაწერად მზად არის, მაგრამ უკრაინის ხელისუფლების პასიურობის გამო ამისი შანსები, ფაქტობრივად, აღარ რჩება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

მკაცრი უმცირესობა და დიპლომატიური უმრავლესობა

უკრაინაში მიმდინარე პროცესების შესახებ პარლამენტი განცხადების მიღებას გეგმავს

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ძირითად საკითხად უკრაინაში განვითარებული მოვლენები იქცა. საპარლამენტო უმცირესობა კიევში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოს პარლამენტში განცხადების მიღების ინიციატივით გამოვიდა. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა უმრავლესობას და უმცირესობას ამ საკითხებზე კონსულტაციების გამართვისკენ მოუწოდა. სპიკერის შეფასებით, ბიურო ამ ტიპის საკითხების განხილვის ადგილი არ არის.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე ამბობდა, რომ თუ უმცირესობას რაიმე ღირებული მოსაზრებები ექნებოდა, საერთო ტექსტზე შეთანხმების შესაძლებლობაც განიხილებოდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

მასობრივი გამოსვლები და საგანგებო მდგომარეობა ტაილანდში

ივა შილაკაძე

ტაილანდში ოპოზიციურად განწყობილი ხალხის გამოსვლებმა ბოლო დღეებში საკმაოდ შთამბეჭდავი მასშტაბები შეიძინა. კვირას ამას დაემატა ამ დემონსტრანტების მიერ ორი სამინისტროსა და კიდევ ერთი სახელმწიფო დაწესებულების დაკავება. პასუხად მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა შემოიღო დედაქალაქ ბანგკოკში და მის მიმდებარე ორ ოლქში, ქალაქის აეროპორტის ჩათვლით.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ჩაერთვება თუ არა საქმეში „დენსუსის" დასკვნა?

ვანო მერაბიშვილის წინასასამართლო სხდომა 26 მაისის საქმეზე

სხდომაზე სასამართლო ამერიკული კომპანია „დენსუსის" მიერ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დაკვეთით მომზადებულ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს გამოიკვლევს და მის მტკიცებულებად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს.

მერაბიშვილის ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილის განცხადებით, პროკურატურა „დენსუსის" დასკვნის საქმიდან ამოღებას უსაფუძვლო მოტივით ითხოვს.

„პროკურატურის მოტივი ის არის, რომ ვერ დაკითხავენ იმ ადამიანებს, ვინც ეს ანგარიში 2011 წლის ზაფხულში მოამზადა. უწყებაში მიიჩნევენ, რომ ამ ადამიანების მოძიება რთულია," - განაცხადა ჩივიაშვილმა.

მისივე თქმით, პროკურატურას ამ ანგარიშის დაცვის მხარისთვის გადაცემა აშშ-ს საელჩომ აიძულა.

„აღნიშნული დოკუმენტი 2011 წელსვე გადაეცა შსს-ს. სამინისტროს არაერთხელ ვთხოვეთ, რომ ეს ანგარიში გადმოეცათ. პასუხი საერთოდ ვერ მივიღეთ. ამის შემდეგ ადმინისტრაციული წესით გავასაჩივრეთ მთავრობაში, საიდანაც მივიღეთ პასუხი, რომ ისინი შსს-ს სთხოვენ, იქნებ გადმოგვცენ.

არც პროკურატურამ გადმოგვცა. დაგვრჩა ერთადერთი გზა, მივმართეთ აშშ-ს საელჩოს, საიდანაც მივიღეთ ძალიან კარგი პასუხი.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643	⇓
1 ევრო	2.2110	⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933	⇓
1 თურქული ლირა	0.8622	⇓
100 რუსული რუბლი	5.0433	⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

დრო საქართველო უფრო მაღალი დონის ტურნირში ჩავრთოთ

სამოასთან მოგებული მატჩი ერთგვარი ტესტი იყო მსოფლიო რაგბის მმართველთათვისაც, რომლებსაც უნდა გადაეხედათ თავიანთი დამოკიდებულებისთვის მეორე დონის ქვეყნის მიმართ, რომელიც ზედა ეშელონის გუნდებთან მეტ თამაშს იმსახურებს. სამოასთან მოგება შესაძლოა მართლაც სასიკეთოდ წაგვადგეს. ყოველ შემთხვევაში, რაგბის საერთაშორისო საბჭოში ამაზე უკვე ფიქრობენ, რასაც ადასტურებს საქართველო VS სამოაზე დუბლინიდან საგანგებოდ ჩამოსული რაგბის საერთაშორისო საბჭოს განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელის მარკ იგანის ვიზიტი.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

კინოანალიტიკოსის სია

„გრძელ ნათელ დღეებს" ნომინაციაში მოხვედრის შანსი აქვს

ია ვეკუა

უკვე 13 წელიწადია ამერიკელი კინოანალიტიკოსი სკოტ ფინბერგი «ოსკარის» ნომინაციებს წინასწარმეტყველებს და ზოგჯერ საუკეთესო ფილმსაც ასახელებს. ასეა წელსაც - მან Hollywood Reporter-ში გამოაქვეყნა იმ ფილმების, მსახიობებისა და რეჟისორების ჩამონათვალი, რომლებიც, მისი აზრით ძირითად ნომინაციებში მოხვდებიან. ფინბერგი საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციის ფილმებსაც ასახელებს. ძირითადი ხუთეულის გარდა ის კიდევ 13 ფილმს ახსენებს, რომლებსაც ნომინაციაში მოხვედრის შანსი აქვთ. მათ შორისაა ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის «გრძელი ნათელი დღეები».

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

რიჩარდ ნორლანდმა ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერ-მინისტრად დანიშვნა მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდს შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა.

რიჩარდ ნორლანდმა ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერ-მინისტრად დანიშვნა მიულოცა.

თავის მხრივ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ელჩს საქართველოს მიმართ გამოჩენილი თანდგომისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

მხარეებმა საქართველო-ამერიკას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრეს და ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების იმედი გამოთქვეს.

რიჩარდ ნორლანდი - დღეს ადამიანებს შორის საზღვრების გავლების დრო არ არის

დღეს ხელოვნური ბარიერების აღმართვის და ადამიანებს შორის საზღვრების გავლების დრო არ არის, - ამის შესახებ საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა წეროვანში განაცხადა, სადაც ამერიკული კუთხე გახსნა.

აშშ-ს ელჩის შეფასებით, „მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გავიმეორო ის, რაც არაერთხელ მითქვამს. დღეს არ არის ხელოვნური ბარიერების აღმართვის და ადამიანებს შორის საზღვრების გავლების დრო, რაც, სამწუხაროდ, ამ დღეებში ისევ ხდება. ამგვარი ქმედება ყოველგვარ აზრს მოკლებულია. მოგეხსენებათ, ჟენევაში მაღალი დონის დიპლომატიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ამ მოლაპარაკებების მიუხედავად, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დაამუშაონ თავიანთი მიწები, მოინახულონ მეგობრები, წინაპართა საფლავები. არ არსებობს არავითარი არგუმენტი, რომელიც ამ რეგიონში ხელოვნური ბარიერების აღმართვას გაამართლებს," - განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

აშშ-ს ელჩმა მობილური ბიბლიოთეკის პროექტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამერიკა იძულებით გადაადგილებულ პირებთან მჭიდრო ურთიერთობებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

„ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც დღემდე ეტყობათ ომის კვალი. ამ პროექტით გვსურს, ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ უწევთ ახალ გარემოსთან შეგუება, მოვუტანოთ ამერიკული ბიბლიოთეკა, რათა მათ ამისთვის საკუთარი დასახლებიდან თბილისში გამგზავრება და საელჩოში ან თბილისის ამერიკულ კუთხეში მისვლა არ დასჭირდეთ. მობილური ბიბლიოთეკა საშუალებას გვაძლევს, ამ ადამიანებთან მივიტანოთ ამერიკული კულტურის ცენტრი, რომელიც მათ სთავაზობს ამერიკულ ფილმებს, წიგნებს, ინგლისური ენის გაკვეთილებს, საგანმანათლებლო პროგრამებს ყველა ასაკის ადამიანისთვის, ვინც დაინტერესებულია, რომ აშშ-ს შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღოს," - აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

ამერიკული კუთხეები შეერთებული შტატებისა და საქართველოს ერთობლივი პროექტია. როგორც აშშ-ს საელჩოში განმარტავენ, პროექტი ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების გაღრმავებას შეერთებული შტატების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის გავრცელების გზით. ამერიკული კუთხეები საქართველოს ყველა დაინტერესებული მოქალაქისთვის ღიაა, კოლექციებით სარგებლობა კი - უფასო.

ჩაერთვება თუ არა საქმეში „დენსუსის" დასკვნა?

მათ გვითხრეს, რომ ყველა ღონეს იხმარდნენ, რათა აღნიშნული დოკუმენტი ჩვენთვის გადმოეცათ.

მათ გადასცეს პროკურატურას და მიუთითეს, რომ თავად პროკურატურას გადმოეცა ჩვენთვის. საქმეში არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ პროკურატურამ გადმოგვცა ეს დოკუმენტი და ამ ფორმით მოხვდა იგი დაცვის მტკიცებულებებში. პროკურატურა გამოძიების პროცესში გამამართლებელ მტკიცებულებას თუ მოიპოვებს, იგი ვალდებულია, სისხლის სამართლის საქმეში მოათავსოს," - ამბობს ჩივიაშვილი.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა აქვს მიზნად ბრალდების მხარეს.

„როცა ბრალდების მხარე იძულებული გახდა, დოკუმენტი ჩვენთვის გადმოეცათ, გადაწყვიტეს, რომ ეს დოკუმენტი რაღაცნაირად უნდა გაექროთ. თვითონ ამოიღეს საქმიდან, რომელშიც თავიდან მოათავსეს, დარჩა ჩვენთან და ახლა გვთხოვენ, რომ ეს დოკუმენტი დაცვის მტკიცებულებებიდანაც გაქრეს და ეს იმ ფონზე, როცა გვიმტკიცებდნენ, რომ ეს დოკუმენტი ჩვენ კი არა მათ ადგებოდათ. საბოლოო ჯამში ასეთი სურათი გვაქვს - ისინი ამბობენ, ჩვენ არ გვაინტერესებს გამამართლებელი მტკიცებულებები, არ გვაინტერესებს, რეალურად რა მოხდა და გვაინტერესებს, გამამტყუნებელი განაჩენი ნებისმიერ ფასად მივიღოთო," - აღნიშნავს ადვოკატი.

რაც შეეხება „დენსუსის" მიერ მომზადებულ ანგარიშს, როგორც ადვოკატი ამბობს, იქ წერია, რომ 26 მაისს მიტინგის დაშლის შესახებ მერაბიშვილის ბრძანება სწორად იყო გაცემული.

„ამ დოკუმენტში ცალსახად წერია, რომ ტაქტიკურად გეგმა, როგორ უნდა დაშლილიყო მიტინგი, სწორად იყო ჩამოყალიბებული და მინისტრის მიერ გაცემული ბრძანება აბსოლუტურად ადეკვატური იყო. ბრალი კი იმაზე წაუყენეს, რომ არასწორი გეგმა დაამტკიცა. ანგარიშში ნათქვამია, რომ ცალკეული პოლიციელების მიერ ძალის გადამეტება იყო და იმაზე არ არის საუბარი, ეს მერაბიშვილის მიერ იყო თუ არა ინსპირირებული.

როდესაც ისინი მიხვდნენ, რომ თუკი აღნიშნული ანგარიში საქმეში იქნება, ბუნებრივია, გამამართლებელ განაჩენამდე მივდივართ, გადაწყვიტეს, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეთ, აღნიშნული დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმიდან გაქრეს და გვითხრან, რომ მათ სურთ, მერაბიშვილი დამნაშავე იყოს. თუკი რამე ხელს უშლით, ყველა დოკუმენტი უნდა გაქრეს საქმიდან," - განაცხადა გიორგი ჩივიაშვილმა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატის აღნიშნულ განცხადებას საპარლამენტო უმცირესობაში გამოეხმაურნენ.

«ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი პროკურატურას მტკიცებულებების უგულებელყოფაში ადანაშაულებს. გაბაშვილი მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერის სასამართლო პროცესი პოლიტიზებულია.

პროკურატურა ყველანაირად ცდილობს, საქმის მტკიცებულებებიდან ე.წ ამერიკული ანგარიში ამოიღოს. ეს ნიშნავს იმას, რომ ძალიან სერიოზული ანგარიში ჩვენი ამერიკელი კოლეგებისა, რომლებმაც 2011 წლის 26 მაისს აქციის დროს პოლიციის მოქმედებების შესახებ თავინთი მოსაზრება გამოთქვეს, ამოღებულ იქნეს საქმიდან, რადგან ანგარიშში ძალიან კარგად ჩანს, რომ ოპერაცია ადეკვატურად იყო დაგეგმილი და მინისტრს არც ერთი უკანონო ბრძანება არ გაუცია. შესაბამისად, პროკურატურის ასეთი მოქმედება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ შერჩევით სამართალთან გვაქვს საქმე," - განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

„ვინმემ გაგვაგებინოს, არჩევნები როგორ ტარდება"

არასაპარლამენტო ოპოზიცია თვითმმართველობის ალტერნატიულ კოდექსს მოამზადებს

თვითმმართველობის კოდექსის შესახებ არასაპარლამენტო პოლიტიკურმა პარტიებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები კოდექსის ღია ფორმატში განხილვას და მასზე მსჯელობის დაწყებას მხოლოდ ვენეციის კომისიისა და სხვა საერთაშორისო ექსპერტების დასკვნის შემდეგ მიიჩნევენ მიზანშეწონილად.

ამასთან, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები აპირებენ, ხელისუფლებას თვითმმართველობის ალტერნატიულ კოდექი შესთავაზონ.

„ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე აკაკი ასათიანის განცხადებით, დროა, ოპოზიცია კონსტრუქციული ოპონირების რეჟიმში გადავიდეს.

ასათიანი მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის შესახებ კანონი საკმაოდ ბუნდოვანია და დამტკიცების შემთხვევაში მალე შესაცვლელი გახდება.

„ჩვენ წყენა გამოვთქვით იმის გამო, რომ ხელისუფლება არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს უგულებელყოფს. კანონი თვითმმართველობის შესახებ მხოლოდ ერთი პარტიის ან თუნდაც პარლამენტის გადასაწყვეტი არ არის. იგი ფართო კონსესუსის საგანი უნდა იყოს. ამ კოდექსის ავტორები კი თავადაც ვერ აგიხსნიან, რაზეა მასში საუბარი. ისინი აცხადებენ, რომ კანონში ხარვეზებია, თუმცა თანდათან შეცვლიან და ჩაასწორებენ. ჩემი აზრით, ეს სწორი დამოკიდებულება არ არის. ხომ შეიძლება, რაღაც ისე გავაკეთოთ, რომ მას ბევრი გადაკეთება აღარ დასჭირდეს. ოპოზიციური პარტიები კონსულტაციებს ვმართავთ, რათა ხელისუფლებას ალტერნატიული კოდექსი შევთავაზოთ, რადგან დროა, კონსტრუქციული ოპონირების რეჟიმში გადავიდეთ და ჩვენი პროტესტი ქუჩაში აქციებით აღარ გამოვხატოთ," - განაცხადა აკაკი ასათიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ასათიანი მიიჩნევს, რომ ახალი კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოვალეობების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს.

„სერიოზული სამუშაოა. ეს პარლამენტის ვიწრო ჯგუფის გადასაწყვეტი არ არის. თავშესაცემი გვექნება 2-3 თვეში. გაირკვევა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებენ," - აღნიშნავს ასათიანი.

„ახალი მემარჯვენეების" წევრ მამუკა კაციტაძის აზრით, პრობლემას კანონპროექტზე მუშაობისას პოლიტიკური სპექტრის იგნორირება წარმოადგენს.

„ჩვენ მივიღეთ „ოცნების" კულუარებში შექმნილი კანონპროექტი, რომლიდანაც იგნორირებულია პოლიტიკური სპექტრი. ჩვენ რეალურად არ გვაქვს შესაძლებლობა, ასეთი მნიშვნელოვანი კანონი საერთაშორისო ექსპერტიზას დავუქვემდებაროთ," - აცხადებს კაციტაძე.

არასაპარლამენტო ოპოზიცია იმაზე თანხმდება, რომ არჩევნებამდე ცოტა დროა დარჩენილი, რათა კანონში ძირეული ცვლილებები შევიდეს.

„სად ვირჩევთ 2014 წელს რასაც ვირჩევთ ანუ რა ფარგლებში, როგორ, რა სისტემით ვირჩევთ და როდის ვირჩევთ, იმიტომ, რომ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფიდან, ვიდრე დღეს, კანონით განსაზღვრულ საარჩევნო ვადამდე ორი თვე რჩება. ვენეციის კომისია ამბობს, რომ ბაზის სრულყოფიდან არჩევნებამდე 8-10 თვე, ერთი წელია სასურველი," - აღნიშნავს კაციტაძე.

„ქართული ოცნების" მდგომარეობა ძალიან ჰგავს ბიბლიურ ფრაზას, რომ ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და უკვე აბრაამს არქმევდნენო. წამოაყენეს დავით ნარმანიას კანდიდატურა და რა არჩევნებს ვატარებთ, როდის ვატარებთ, როგორ არჩევნებს ვატარებთ, ჯერ ცნობილი არაა. იქნებ, ვინმემ გაგვაგებინოს, მერის არჩევნები როგორ ტარდება, 50-პროცენტიანი ბარიერი იქნება თუ არა ან სანამ კანდიდატურას წამოაყენებენ, იქნებ თავი შეიწუხონ და გაგვაგებინონ, როგორ ვატარებთ საკრებულოების არჩევნებს, ხომ არ ტოვებენ ისევ ისე, როგორც იყო, როცა მმართველ გუნდს გარანტირებული უმრავლესობა ჰქონდა. სადაა შეპირებული ბიომეტრიული საარჩევნო სიები," - განაცხადა ქდმ-ს წევრმა ლევან ვეფხვაძემ.

არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე გამოეხმაურა. კვაჭანტირაძის თქმით, ოპოზიციურ პარტიებს თვითმმართველობის კოდექსის საერთო სახალხო განხილვებში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდათ.

„არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს შეეძლოთ, ამ კანონის საერთო სახალხო განხილვებში მონაწილეობა მიეღოთ. თუკი მათ მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური სტატუსის დაფიქსირება სურდათ, ეს უკვე სხვა საკითხია. დღეს ქუთაისში პარლამენტი იმ თანამდებობის პირებს შეხვდება, რომლებიც თვითმმართველობის კოდექსის შედგენაში უშუალოდ მონაწილეობდნენ. კარგი იქნება, თუ ამ მსჯელობის შემდეგაც დაინტერესდებით, თუ რა კორექტივებს შევიტანთ კანონში," - აღნიშნა ზვიად კვაჭანტირაძემ.

პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის ახალი შემადგენლობა წარადგინა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეწყალების სახელმწიფო კომისიის ახალი შემადგენლობა წარადგინა. კომისიას ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი უხელმძღვანელებს, ხოლო შემადგენლობაში შევლენ: თამარ ხიდაშელი, ლია მუხაშავრია, ბასა ჯანიკაშვილი, უჩა ნანუაშვილი, მიტროპოლიტი მამა თეოდორე, ეკა გიგაური, გივი შაჰნაზარი, კოტე ჯანდიერი, ზვიად ქორიძე და ფსიქოლოგი თეა გოგოტიშვილი.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა კომისიის წარდგენისას განაცხადა, კომისიის თითოეული წევრი მათ მიმართ საზოგადოების ნდობისა და იმის გათვალისწინებით შეირჩა, რომ არც ერთი მათგანი რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებული არ არის.

„მინდა, კომისიის წევრებს მადლობა გადავუხადო, რომ დათანხმდნენ ასეთ მნიშვნელოვან და ამავე დროს რთულ სამსახურს. კომისია იმუშავებს ამჟამად მიმდინარე საქმეებზე და ასევე კომისიის დებულებაზე, რათა დაიხვეწოს და ეფექტური გახდეს. კომისიის ყველა წევრის შერჩევის კრიტერიუმი იყო ნდობა, რომელიც ამ ადამიანებს აქვთ საზოგადოების მხრიდან, ასევე ის, რომ ისინი არ არიან დაკავშირებულნი რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან და მათი განსაკუთრებული ღირებულებებისა და ჰუმანურობიდან გამომდინარე, რაც მათ ბიოგრაფიას გასდევს," - განაცხადა მარგველაშვილმა.

შეწყალების კომისიის ახალი შემადგენლობა პირველად მიმდინარე წლის განმავლობაში შეიკრიბება. როგორც ჟურნალისტებს კომისიის ახალმა თავმჯდომარემ, ჟურნალისტმა ალეკო ელისაშვილმა განუცხადა, შეეცდებიან, რომ პრეზიდენტს შესაწყალებელ პატიმართა პირველი სია საახალწლოდ წარუდგინონ.

„ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ კომისია უახლოეს მომავალში შეიკრიბება. ვეცდებით, პრეზიდენტს საახალწლოდ წარვუდგინოთ შესაწყალებელთა პირველი სიები," - აღნიშნა ელისაშვილმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვა". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მკაცრი უმცირესობა და დიპლომატიური უმრავლესობა

პირველი გვერდიდან

როგორც დოლიძე აღნიშნავდა, საბოლოო ტექსტი აგრესიული და შემეცნებითი ხასიათის არ იქნებოდა, მისი მიზანი ვინმესთვის ჭკუის სწავლება არ უნდა ყოფილიყო.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი კანდელაკის თქმით, უკრაინაში რაც ხდება, საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მომზადებული განცხადების ტექსტი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. კანდელაკი უკმაყოფილოა იმით, რომ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულ ტექსტში რუსეთი საერთოდ არ არის ნახსენები. **„თავად იანუკოვიჩი ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი რუსეთისგან მომდინარე შანტაჟია,“** - დასძენს კანდელაკი.

„ნაციონალური მოძრაობის“ პროექტში ნათქვამია, რომ **„ვინაიდან ევროპულ ოჯახში დაბრუნება ქართველი ხალხის ურყევ ისტორიულ არჩევანს წარმოადგენს; ვინაიდან ევროპის კავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების ევროპის კავშირთან დაახლოების პრინციპულად მნიშვნელოვან ინსტრუმენტს; ვინაიდან უკრაინის ევროპის კავშირთან დაახლოება დადებითად აისახება არა მხოლოდ უკრაინელი, არამედ ქართველი ხალხის არჩევანის ხორცშესხმაზე; ვინაიდან მიუღებელია რუსეთის ფედერაციის მხრიდან გავლენის სფეროების დოქტრინის განხორციელება; საქართველოს პარლამენტი:**

1. უცხადებს სრულ მხარდაჭერას უკრაინელ ხალხს მის მიერ საკუთარი სუვერენიტეტის განხორციელებაში, რაც გულისხმობს საგარეო პოლიტიკის უკრაინის ინტერესების შესაბამისად წარმოებას;

2. გამოხატავს რწმენას, რომ უკრაინის თავისუფალი ერების ევროპული ოჯახისკენ სვლის შეჩერება შეუძლებელია. ყოველგვარი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია უკრაინის ევროპული ინტეგრაციის შესაფერხებლად, თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული;

3. გამოხატავს შეშფოთებას, უკრაინის მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმის მიზნით რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის ხელისუფლებაზე ბოლო თვეების განმავლობაში განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლისა და შანტაჟის გამო.

4. გამოხატავს იმედს, რომ მოხერხდება არსებული წინააღმდეგობების გადალახვა, უკრაინის მთავრობა არ დაექვემდებარება რუსეთის ფედერაციის შანტაჟს და არ გადაუხვევს ევროპული ინტეგრაციის გზას.“

უმცირესობასთან კონსულტაციების დასრულების შემდეგ უმრავლესობის წევრებმა აღნიშნეს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება ისეთი სულისკვეთებით არის გაკეთებული, რომ მისი მიზანი ყველა პროცესის შეფასებაა. უმრავლესობის წევრთა აზრით, ოპოზიციის მიზანია, უკრაინასაც უკარნახოს, როგორ უნდა მოიქცეს, რაც საქართველოს დიპლომატიურ ინტერესებს არ შეესაბამება და, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მისაღები არ არის.

საპარლამენტო უმრავლესობის პროექტში კი ნათქვამია, რომ საქართველო, ითვალისწინებს რა მის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ პოტენციალს არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთოევროპული უსაფრთხოებისა და ეკონომიკის გათვალისწინებით, არ იშურებს ძალისხმევას, უკრაინამ სრულფასოვანი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია რაც შეიძლება მოკლე დროში მოახდინოს.

ვიქტორ დოლიძეს იმედი აქვს, რომ უმცირესობასთან საერთო განცხადების ტექსტზე შეთანხმება მიღწეული იქნება.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკის თქმით, საქართველოს ხელისუფლების სურვილია, უკრაინა თავისი ადამიანური, ფინანსური, ეკონომიკური რესურსებით ევროკავშირის შემადგენელი ნაწილი იყოს, ვინაიდან უკრაინა ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია.

გია ვოლსკი აღნიშნავს, რომ უმრავლესობის პოზიცია აწონილ-დაწონილი და დიპლომატიურია, რაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს სრულად პასუხობს. **„პროცესებში ზედმეტად ჩარევა, თანაც ხმამაღალი და მკაცრი განცხადებების გაკეთება პრაქტიკული თვალსაზრისით არანაირ შედეგს არ მოიტანს,“** - მიიჩნევს ვოლსკი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ზვიად კვაჭანტირაძის თქმით, საქართველოს სურვილია, უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს. მისივე თქმით, უკრაინამ უკან არ უნდა დაიხიოს. **„უკრაინული დემოკრატიული საზოგადოება იღვწის, რომ ამ იდეალებისთვის ბოლა ბოლომდე იქნეს განხორციელებული. მაგრამ, მე არ მიმაჩნია სწორად, რომ ჩვენ ამ პროცესებში რამე სახით უნდა ჩავერიოთ. ალბათ, უკრაინის ხელისუფლება და საზოგადოება თავად გადაწყვეტენ, რა იქნება უფრო მისაღები. თუმცა, ჩვენი დიდი სურვილია და ვიმედოვნებ, რომ რაღაც დრამატულ ცვლილებებს მაინც არ უნდა ველოდოთ,“** - დასძენს კვაჭანტირაძე. მისივე თქმით, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ვილნიუსის სამიტზე დასწრებას გეგმავს, შესაძლებელია, დღეს არსებული ვითარების შეცვლის მაუწყებელიც იყოს.

საკუთარი ინფორმაცია

ხმალაძე პარლამენტარების გაცდენებით უკმაყოფილოა

უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნის გამო ირინა იმერლიშვილს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე შეუწყდება. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე კი სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი კახიანის კანდიდატურა განიხილება. როგორც კახიანი აღნიშნავს, თეორიულად ერთ სხდომაზე იმერლიშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა და კომიტეტის ახალი თავმჯდომარის არჩევა შესაძლებელია.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ კომიტეტის სხდომაზე ახალი კანონპროექტის მომზადების საკითი დააყენა. მისი თქმით, პარლამენტის რეგლამენტის ის ნაწილი, რომელიც დეპუტატთა საპატიო და არასაპატიო გაცდენის საკითხებს არეგულირებს, სერიოზულად ნაკლოვანი და აბსურდულია. **„ხომ ხედავთ, როგორი დასწრებაა პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე,“** - აღნიშნა დარბაზში პარლამენტის წევრთა არყოფნით უკმაყოფილო ხმალაძემ. მისი განმარტებით, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საპატიოდ მიიჩნევა გაცდენა, როცა კომიტეტის წევრი კომიტეტს წინასწარ განცხადებით მიმართავს და აცნობებს, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო კომიტეტის სხდომას ვერ ესწრება. **ახლა რა ხდება ჩვენთან - მთელი წლის განმავლობაში კომიტეტის წევრები უმცირესობიდან კომიტეტის სხდომის წინ აგზავნიან განცხადებას, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო სხდომას ვერ ესწრებიან. მათ ყველა გაცდენა საპატიოდ ეთვლებათ და როცა ასეთი განცხადების მოტანა ავიწყდებათ, მხოლოდ მაშინ ეთვლებათ არასაპატიო გაცდენად. ეს რეგლამენტის ძალიან სერიოზული ნაკლია,“** - თქვახ მალაძემ და წინა მოწვევის პარლამენტის პრაქტიკაც გაიხსენა, - **პარლამენტის წევრთა ერთი ჯგუფი საერთოდ არ იყო ნამყოფი პარლამენტის და კომიტეტის არც ერთ სხდომაზე, მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში იღებდნენ ხელფასს და პრემიებსაც კი, რაც ასევე აბსურდია.“**

იურიდიულმა კომიტეტმა მე-2 მოსმენით განიხილა «იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტების პაკეტი. პროექტის თანახმად, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროდან იურიდიული დახმარების სამსახური ცალკე გამოიყოფა.

კომიტეტის წევრებმა დეტალურად იმსჯელეს იურიდიული დახმარების საბჭოს, მისი ფუნქციების და საქმიანობის საკითხებისა და იურიდიული სამსახურის დირექტორის უფლება-მოვალეობების იურიდიული ფორმების შესახებ.

«საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ შესახებ დადგენილების პროექტი განიხილეს გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტის სხდომაზე. როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ გია ცაგარეიშვილმა აღნიშნა, საჭიროა ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ქვეყანაში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას, ტყის მართვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას უზრუნველყოფს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი «საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების“ შესახებ იმსჯელეს ევროპასთან ინტეგრაციისა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე.

ხელშეკრულება, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროკავშირის (NIF) ფინანსური მხარდაჭერით, ქვეყანაში «ჯვარისა“ და შესაბამისი ხაზების მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტი 2016 წლისთვის დასრულდება, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოში მდებარე ჰესებიდან დასავლეთ საქართველოს, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და თურქეთის მიმართულებით ელექტროენერგიის მიწოდება მოხდება. აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებითაც მიწოდების ზრდაა გათვალისწინებული.

საკუთარი ინფორმაცია

შტეფან ფულე - საქართველოსა და მოლდოვას აქვთ ჩვენი მხარდაჭერა რეფორმების განსახორციელებლად

საქართველოსა და მოლდოვას აქვთ ჩვენი მხარდაჭერა იმ რეფორმების განსახორციელებლად, რომლებიც ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის არის საჭირო, - ამის შესახებ ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ ქართველ და მოლდოველ ჟურნალისტებთან ვიდეოკონფერენციისას განაცხადა.

„თუ საქართველო დარჩება იმ ფასეულობების ერთგული, რაც ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია და დაამყარებს კანონის უზენაესობას, არ დაუშვებს შერჩევით სამართალსა და ქვეყანაში იქნება თავისუფალი მედია, მაშინ ის უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირს. რაც უფრო ახლოს მივა ევროკავშირთან საქართველო, მით უფრო უკეთესად შევძლებთ ჩვენ მის დაცვას,“ - აღნიშნა ევროკომისარმა. მისივე განცხადებით, საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულება, სულ მცირე, მომავალი წლის სექტემბრის ბოლოსთვის გაფორმდება.

ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ასევე შეეხო უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების მზადების პროცესის შეჩერების შესახებ. როგორც შტეფან ფულემ აღნიშნა, ევროკავშირი უკრაინასთან ხელშეკრულების გასაფორმებლად კვლავაც მზად არის და ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

„ევროკავშირი კვლავ მზად არის, ასოცირების ხელშეკრულება გააფორმოს უკრაინასთან. თუმცა, ეს საკითხი ახლა თავად უკრაინის გადასაწყვეტია. ჩვენ ასევე ცხადად დავაფიქსირეთ, რომ ევროკავშირი აგრძელებს რუსეთთან დიალოგს, რათა განვუმარტოთ მას, თუ რა ბენეფიტიები მოაქვს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირთან ურთიერთობას,“ - განაცხადა შტეფან ფულემ.

რაც შეეხება საკითხს, შესაძლოა თუ არა ევროკავშირმა უკრაინის მსგავსი მოთხოვნები დაუწესოს საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების თვალსაზრისით, შტეფან ფულეს თქმით, ეს ორი სხვადასხვა ქვეყანაა და ქოფი-ფეისთს ადგილი არ ექნება.

შვეიცარიასა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურები მარტივდება

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „შვეიცარიასა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ 2013 წლის 13 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმების ძალაში შესვლის მიზნით, საქართველომ და შვეიცარიამ დაასრულეს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები. შეთანხმება ძალაში 2014 წლის 1 იანვრიდან შევა.

შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეებისთვის შვეიცარიის ტერიტორიაზე მიმოსვლისთვის ხელსაყრელი პირობების შემოღებას, ასევე, სავიზო მოსაკრებლის ოდენობის, მრავალჯერადი ვიზის გაცემის, ვიზის განაცხადის განხილვის და ვიზის გაცემასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების დარეგულირებას.

გარდა ამისა, შეთანხმების თანახმად, დიპლომატიური პასპორტის მფლობელ პირებს შეუძლიათ, ვიზის გარეშე შევიდნენ, დატოვონ და ტრანზიტით გაიარონ შვეიცარიის ტერიტორია.

რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა ორი ქართველი დააკავეს

სოფელ ხურვალეთის განაპირას რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა ორი ქართველი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, 24 წლის მალხაზ ვანიშვილი და 28 წლის გოჩა მაყიშვილი ცხინვალის მილიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილები. ორივე მათგანი მავთულხლართებთან ახლოს 25 ნოემბერს, საღამოს დააკავეს.

ხურვალეთის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ გოჩა მაყიშვილი ე.წ. საზღვარს არ დაარღვევდა და მავთულხლართების მიღმა არ გადავიდოდა.

რაც შეეხება მალხაზ ვანიშვილს, იგი მავთულხლართების მიღმა დარჩენილი 80 წლის დავით ვანიშვილის შვილიშვილია. მოსახლეობის განცხადებით, გოჩა მაყიშვილი დიაბეტით არის ავად და იგი ინტენსიური მკურნალობის ქვეშაა. ადგილობრივების ინფორმაციით, დაკავებისას მაყიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რის გამოც რუსმა სამხედროებმა სამედიცინო დახმარება გამოიძახეს. სავარაუდოდ, ცხინვალის მხარე ორივე დაკავებულს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში დასდებს ბრალს.

ოჯახის წევრებს და ახლობლებს ჯერჯერობით არავინ დაკავშირებია. თუმცა, 80 წლის დავით ვანიშვილი ამბობს, რომ მის ოჯახს არანაირი სახსრები არ გაჩნია და იმ შემთხვევაში, თუ ცხინვალელი ე.წ. სამართალდამცავები ჯარიმის თანხას მოითხოვენ, თანხის გადახდას ვერ შეძლებს.

კერი სირიის შესახებ მოლაპარაკებაზე დიდ იმედს ამყარებს

ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის თქმით, სირიის შესახებ სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც, ბოლო მონაცემებით იანვარშია დაგეგმილი, დროებითი მთავრობის ფორმირების საუკეთესო საშუალებაა. მისი თქმით, ამ შეხვედრას ქვეყანაში კონფლიქტის შეჩერება შეუძლია. ცოტა ხნის წინ გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა განაცხადა, რომ სირიის მთავრობასა და ოპოზიციას შორის შეხვედრა 22 იანვარს, ჟენევაში გაიმართება. სირიის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის პროცესში გაერო, ამერიკა და რუსეთი მონაწილეობენ, რომლებიც თვეებია, კონფლიქტის მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებენ. ამ დრომდე უცნობია, ვინ წარმოადგენს დაპირისპირებულ მხარეებს ჟენევაში დაგეგმილ შეხვედრაზე. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, სირიის ოპოზიცია წარმომადგენელზე ამ დრომდე არ შეთანხმებულა. ქვეყანაში კონფლიქტის 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც 110 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

ამერიკამ ავღანეთიდან ჯარები, შესაძლოა, მთლიანად გაიყვანოს

ცოტა ხნის წინ ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ, უხუცესთა საბჭოს რჩევის მიუხედავად, განაცხადა, რომ ამერიკასთან უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას ამ დროისთვის არ აპირებს. «როიტერის“ ცნობით, ორშაბათს ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სუზან რაისი ქაბულში ავღანეთის პრეზიდენტს შეხვდა. ყარზაის თქმით, შეთანხმების ხერლმოწერამდე ამერიკამ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ავღანეთში სამხედრო რეიდები და აჩვენოს, რომ ქვეყანაში სამშვიდობო მოლაპარაკებებით მართლაც დაინტერესებულია. ამ შეხვედრის შემდეგ თეთრმა სახლმა განაცხადა: «რაისთან შეხვედრა მოწმობს, რომ ავღანეთი ორმხრივი უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას არ ჩქარობს. ხელმოწერის გარეშე კი ამერიკას არჩევანი არ ექნება და 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ამერიკისა და ნატოს ჯარები აღარ დარჩებიან.“ ეს ე.წ „ნულოვანი ვარიანტი“ ერაყის მსგავსი იქნება, როდესაც ამერიკამ ორი წლის წინათ ამ ქვეყნიდან ჯარები მთლიანად გაიყვანა, ვინაიდან უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების დადება არ მოხდა.

იემენში შეიარაღებულმა პირმა რუსი ინსტრუქტორები დახოცა

«როიტერის“ ცნობით, სამშაბათს იემენის დედაქალაქ სანაში შეიარაღებულმა პირმა, რომელიც მოტოციკლეტით იმყოფებოდა, ორი რუსი სამხედრო ინსტრუქტორი მოკლა. იემენის პოლიციის წარმომადგენლის ცნობით, ინსტრუქტორები მაშინ დახოცეს, როდესაც დედაქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარე სასტუმროდან გამოდიოდნენ. მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია.

ეგვიპტეში კანონი მიიღეს, რომელიც საპროტესტო გამოსვლებს კრძალავს

ორშაბათს ამერიკამ შეშფოთება გამოთქვა ეგვიპტეში მიღებული კანონის გამო, რომელიც დემონსტრაციებს ზღუდავს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში საუბარია, რომ ამერიკა ეთანხმება იმ ჯგუფებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს კანონი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება და ქვეყნის დემოკრატიისკენ წინსვლას აბრკოლებს. «ამერიკის სურვილია, ეგვიპტის დემოკრატიისკენ ტრანზიცია წარმატებული იყოს. ჩვენ გარდამავალ მთავრობას მოვუწოდებთ, პატივი სცენ ხალხის უფლებებს და მიიღონ ახალი კონსტიტუცია, რომელიც ამ უფლებების დაიცავს,“ - განაცხადა ამერიკის სახელმწიფო დეპარტმენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმ.

ეს განცხადება მას შემდეგ გავრცელდა, რაც ეგვიპტის უსაფრთხოების ძალებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს იმ სტუდენტების წინააღმდეგ, რომლებმაც ეს კანონი დაარღვიეს. გასულ ზაფხულს ქვეყნის არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი თანამდებობას ჩამოაშორა, რის შემდეგაც ქვეყანაში მურსის მხარდამჭერების საპორტესტო გამოსვლები არ ცხრება. უსფრთხოების ძალებისა და მურსის მხარდამჭერებს შორის შეტაკებას ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ამ მოვლენების შემდეგ ამერიკამ და ევროკავშირმა ეგვიპტეს სამხედრო დახმარების მიცემა შეუწყვიტეს.

ირანი 5 პროცენტამდე გამდიდრებული ურანის წარმოებას გაზრდის

ირანის ბირთვული მრეწველობის ხელმძღვანელ ალი აკბარ სალეჰის განცხადებით, ე.წ «ექვსეულთან“ მიღწეული შეთანხმების შემდეგ ირანი აპირებს, 5 პროცენტამდე გამდიდრებული ურანის წარმოება გაზარდოს. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო Fars ავრცელებს. «5 პროცენტამდე გამდიდრებული ურანის წარმოება არ შემცირდება, პირიქით გაიზრდება. თუმცა, ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ უახლოესი 6 თვის განმავლობაში ურანი 20 პროცენტამდე აღარ გავამდიდროთ,“ - განაცხადა სალეჰმა.

კვირას ირანსა და ე.წ «ექვსეულს“ შორის მორიგი შეხვედრა დამთავრდა, სადაც შეთანხმდნენ, რომ ირანი ურანს 5 პროცენტზე ზევით აღარ გაამდიდრებს, სანაცვლოდ კი ამ ქვეყნის მიმართ დაწესებული მკაცრი ეკონომიკური სანქციები შემსუბუქდება. «ეს ონკანივით არის, რომელიც ჩვენ გადავკეტეთ. თუ დასავლეთი თავის ვალდებულებებს არ შესრულებს, ჩვენ ამ ონკანს კვლავ გავხსნით,“ - აღნიშნა სალეჰმა.

მოამზადა თამთა კახაძემ

უკრაინის ხელისუფლება სამმხრივი ზეწოლის პირობებში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დასავლეთი მკაფიოდ აცხადებს, რომ უკრაინის „გადასაბირებლად“ რუსეთთან „აუქციონის“ გამართვას არ აპირებს, თუმცა იკვეთება, რომ ოფიციალურ კიევს შეიძლება, გარკვეული ფინანსური დახმარების შანსები ჰქონდეს. ევროპელები კატეგორიულად აცხადებენ, რომ ათობით მილიარდ დოლარზე საუბარი ნონსენსია. რუსეთიც ჯერჯერობით დუმს და ალბათ ელოდება მომენტს, როცა უკრაინა მაქსიმალურად იაფად ჩაუვარდება ხელში.

კიევში მომიტინგეებმა კარვების ქალაქების დაცვა მოახერხეს კიდევ ერთი ღამის განმავლობაში, ორშაბათიდან სამშაბათამდე. პოლიციის სპეცრაზმსაც ამ თვალსაზრისით მაინცდამაინც არ უაქტიურია. უფრო სერიოზული ინციდენტი ევროპის მოედანთან დღისით მოხდა. აქციის მონაწილეებმა მიკროავტობუსი შენიშნეს, რომლის გვერდზე ჩავლისასაც მათი მობილური ტელეფონები ითიშებოდა. შიგ ჩახედვისას დაინახეს იარაღიც და სხვა აპარატურაც. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, «ევრომაიდანის» ატრიბუტიკით „უხვად გაფორმებული“ ეს მიკროავტობუსი უკრაინის უსაფრთხოების სამსახურს ეკუთვნოდა. დემონსტრანტების ალყის დანახვისთანავე მიკროავტობუსში მსხდომებმა დახმარება გამოიძახეს. თუმცა ახლოს მდგარი შსს-ს სპეცრაზმის „ბერკუტის“ მისვლამდე მომიტინგეებმა ავტობუსის გაღება და იქიდან აპარატურის, სპეცჩემოდნების და ლეპტოპების „კონფისკაცია“ მოახერხეს. სპეცრაზმის მცდელობა, „გადაერჩინათ“ სპეცსამსახურების მიკროავტობუსი, დემონსტრანტებმა მათ ბანაკზე თავდასხმის მცდელობად აღიქვეს და ამას შეხლა-შემოხლა მოჰყვა. საბოლოოდ, „ბერკუტმა“ საბურავებ-დაშვებული მიკროავტობუსი მოედნიდან ძლივს გაიყვანა. პარტია „თავისუფლების“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა მიტინგზე გამოაცხადა, რომ მათ ხელში ჩავარდნილ მასალას გაშიფრავენ, ინტერნეტშიც გამოაქვეყნებენ და დიპლომატიურ კორპუსსაც გააცნობენ.

პოლიციის სპეცრაზმი განსაკუთრებით გულდასმით იცავს მთავრობის შენობას. გუშინ პოლიციამ ორი დემონსტრანტი დააპატიმრა, რომლებსაც მთავრობის სახლზე კვირას მომხდარი თავდასხმისას კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ბრალდებათ. ესენი ნაციონალისტური „თავისუფლების“ აქტივისტები არიან. პარტიის სხვა წარმომადგენლებს გუშინ მთელი დღე ალყაში ჰქონდათ რაიონული მილიციის ის შენობა, სადაც მათი თანაპარტიელები მიიყვანეს. საპროტესტო აქციის ორგანიზატორები დღესაც, ისევე როგორც კვირას, აცხადებენ, რომ მთავრობის სახლზე თავდასხმა პროვოკატორების ნახელავია და ოპოზიციონერებს ტყუილად სდებენ ბრალს.

კიევშიც და სხვა ქალაქებშიც უკვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების გაფიცვის შემთხვევები დაფიქსირდა. ეს მოძრაობა, სავარაუდოდ, გაძლიერდება, რადგან ევროინტეგრაციის მომხრეთა შორის ახალგაზრდობა აშკარა უმრავლესობაშია. მიმომხილველებიც აცხადებენ, რომ 35 წლამდე ასაკის მოქალაქეთა 80 პროცენტზე მეტი ევროპული კურსის მომხრეა.

გუშინ ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების მოთხოვნით უვადო შიმშილობა დაიწყო ექს-პრემიერმა იულია ტიმოშენკომ. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა მისი ადვოკატი და უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი სერგეი ვლასენკო, რომელმაც ხალხს გადასცა იულია ტიმოშენკოს მოწოდება, „იარონ წინ“ და იბრძოლონ ბოლომდე, ხოლო თუ იანუკოვიჩი ვილნიუსში ხელშეკრულებებს მაინც არ მოაწერს ხელს, აღგავონ პირისაგან მიწისა იანუკოვიჩი და მისი მთავრობა კორუფციულ მეტასტაზებთან ერთად.

მედიასაშუალებები საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერენ, რომ ევროპული კურსის მომხრეებთან ჩვეულებრივი სოლიდარობის გარდა, ტიმოშენკო ამ ნაბიჯით ცდილობს, არ დაუშვას მისი სამკურნალოდ გაშვების საკითხის მოხსნა მოლაპარაკებების დღის წესრიგიდან. არის ვარაუდი, რომ ევროკავშირი უკრაინის ხელისუფლებასთან დიალოგისას უკვე გადაჭრით აღარ მოითხოვს ტიმოშენკოს სასწრაფოდ გათავისუფლებას, ეს შეიძლება, ცოტა ხნით გადაიდოს, ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ. თუ ტიმოშენკოს მოგვინებით მაინც არ გაუშვებენ, შესაძლოა, რატიფიკაციის პროცესი გაჭიანურდეს. თუმცა საგარეო ურთიერთობების და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის კეტრინ ეშტონის წარმომადგენელმა მაია კოსიანჩიჩმა უარყო, რომ ტიმოშენკოს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია და ექს-პრემიერის ჯანმრთელობის გამო ევროკავშირის სახელით შეშფოთება გამოხატა. ექს-პრემიერის მეცხოვრენეებმა კი გუშინ განაცხადეს, რომ არ იციან, იულია ტიმოშენკო მართლა შიმშილობს თუ არა.

გუშინ მედიასთან საუბარში უკრაინის პრემიერმა ნიკოლაი აზაროვმა აღიარა, რომ რუსეთში არავინ შეპირებია მას გაზის ფასის გადასინჯვას, რაზეც ერთი დღის წინ ლაპარაკობდა, არც კრედიტის მიცემაზე არსებობს რაიმე შეთანხმება რუსეთთან. მან არც ის დამალა, რომ ევროკავშირთან ხელშეკრულებების ხელმოწერის გადადება უკრაინის ხელისუფლებას რუსეთმა ურჩია. მან თქვა, რომ დეკემბერში დაიწყებენ მოსკოვთან მოლაპარაკებებს ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის შენარჩუნების შესახებ. აზაროვმა განაცხადა, რომ უკრაინას კრედიტით დახმარებას არც რუსეთი ჰპირდება და არც ევროკავშირი, ამ პირობებში კი უკრაინა შეიძლება, უბრალოდ, რუსეთისა და ევროკავშირის ბრძოლის არენად გადაიქცეს.

გუშინ ევროკომისარმა გაფართოების საკითხებში შტეფან ფულემ პირდაპირ განაცხადა, რომ მოლაპარაკებების დროს უკრაინას რუსეთთან სავაჭრო ბრუნვის შემცირების სანაცვლოდ ფინანსური კომპენსაციის საკითხი არასდროს დაუსვამს. ფულემ გაიხსენა, რომ ლაპარაკი იყო მხოლოდ ორ მწარმოებელზე, ერთი იყო სპეციფიკური ფოლადის მწარმოებელი, რომლისთვისაც ევროპამ უკვე შემოიღო ანტიდემპინგური ზომები და ერთი სურსათის მწარმობელი, რომელიც რუსეთის პრეტენზიებს გადაანწყდა. ფულემ პირდაპირ თქვა, რომ ბოლო დღეებში მას ესმის სხვადასხვა ციფრები - მაგალითად, ის, რომ უკრაინა ევროპულ სტანდარტებთან ადაპტაციისთვის 20 მილიარდს ითხოვს. ფულეს თქმით ეს ნონსენსია: „მე არ ვაღიარებ ასეთ ციფრებს და არ ვიცი, ისინი საიდან მოიტანეს.“ თუმცა ფულეს ასეთი დანახარჯების საკუთარ შეფასებაზეც არაფერი უთქვამს.

გუშინ გამოქვეყნდა პოლონელი ევროდეპუტატის იაცეკ სარიუშ-ვოლსკის ინტერვიუ, რომელიც თავის დროზე ევროინტეგრაციის საკითხებში პოლონეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი იყო და მოლაპარაკებებს უძღვებოდა. მან თქვა, რომ უკრაინას დღეს გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობენ, ვიდრე თავის დროზე პოლონეთს. პოლონეთი თავიდან იღებდა რამდენიმე ათეულ მილიონ ევროს, შემდეგ კი რამდენიმე წლის განმავლობაში - 200 მილიონს. უკრაინას კი ახლა სთავაზობენ 800 მილიონიდან მილიარდ ევრომდე წელიწადში და პაკეტი სხვა თვალსაზრისითაც უფრო მიმზიდველია.

სამშაბათს უკრაინის ეროინტეგრაციის თემას შეეხო პოლონეთის პრემიერი დონალდ ტუსკიც და ის მისთვის უჩვეულოდ რადიკალური იყო. ტუსკის სიტყვებით, ევროკავშირი არ გამართავს რუსეთთან შეჯიბრს იმაში, თუ ვინ უფრო მეტს მისცემს უკრაინას შესაბამისი კურსის არჩევისთვის. ტუსკის სიტყვებით, თუ უკრაინის მმართველები ასეთი შეუზღუდავი ვაჭრობის გამართვას ფიქრობდნენ, შეუძლიათ, თავი იმედგცრუებულად მიიჩნიონ. პოლონეთის პრემიერმა თქვა, რომ ევროკავშირი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გრძელვადიანი სტრატეგიული ინვესტიცია. მოკლევადიან პერსპექტივაში კი რუსეთის რიგი წინადადებები უკრაინისთვის შესაძლოა, ძალიან საინტერესო იყოს. ტუსკის თქმით, დღეს რუსეთს უკრაინაზე ზემოქმედებისთვის ეროკავშირზე გაცილებით მეტი ბერკეტი აქვს. საბოლოოდ კი ყველაფერი უკრაინის მოქალაქეების გადასაწყვეტი იქნება. თუ უკრაინელები ევროკავშირისკენ სვლას მოინდომებენ, ეს ადრე თუ გვიან მაინც მოხდება.

მასობრივი გამოსვლები და საგანგებო მდგომარეობა ტაილანდში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საგანგებო მდგომარეობა ხელისუფლებას კომენდანტის საათის შემოღებისა და ქუჩების ბლოკირების უფლებას აძლევს.

კვირას ბანგკოკის ცენტრში პრემიერ-მინისტრ იინგლაკ ჩინავატის მოწინააღმდეგეთა დიდი რაოდენობა შეიკრიბა. ეს აღმოჩნდა უმსხვილესი მსგავსი აქცია 2010 წლის ორთვიანი მასობრივი გამოსვლების შემდეგ, როდესაც ქუჩაში პირიქით - ამჟამინდელი ხელისუფლების მომხრე «წითელ-პერანგიანები“ გამოვიდნენ. ის აქციები წინა ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით ჩაახშო და მაშინ 90-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

კვირას აქციაში, დაახლოებით, 100 ათასი კაცი მონაწილეობდა. ისინი მშვიდობიანი პროტესტის ფარგლებს გასცდნენ. ხალხი განაწილდა და მარშით წავიდა 13 სხვადასხვა შენობისკენ - ძირითადად, სამინისტროებისა და ტელეარხების მიმართულებით. თავიდან აქციის მონაწილეებმა ფინანსთა სამინისტროს შენობა დაიკავეს, რომელიც, დამონსტრანტების აზრით, საბიუჯეტო სახსრებს არამიზნობრივად იყენებს. შემდეგ იგივე დაემართა საგარეო საქმეთა სამინისტროს და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.

ქალაქის სხვა უბანში დემონსტრაცია გამართეს მოქმედი ხელისუფლების მომხრეებმაც, თუმცა შედარებით მოკრძალებული მასშტაბებით. იქ, დაახლოებით, 40 ათასი კაცი მივიდა. ორშაბათს ბანგკოკში საპროტესტო აქციის მონაწილეები ისევ გამოვიდნენ ქუჩაში. ამჯერად მათი რაოდენობა გაცილებთ ნაკლები იყო - დაახლოებით, 30-40 ათასი კაცი.

გამოსვლების დაწყების მიზეზი გახდა, დაახლოებით, ერთი თვის წინ მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი ამნისტიის შესახებ. ეს კანონი ნოემბრის დასაწყისში სენატში ჩავარდა, მაგრამ ოპოზიცია მთავრობის მიერ ამ საკითხის ლობირების გამო აღშფოთებულია. საპროტესტო აქციების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მთავარი მიზანია, ქვეყანაში და მის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაბრუნების საშუალება მისცენ ქვეყნის ყოფილ პრემიერ- მინისტრ ტაქსინ ჩინავატს, მოქმედი პრემიერის იინგლაკ ჩინავატის უფროს ძმას.

ტაქსინ ჩინავატი სამხედროებმა 2006 წელს ძალით გადააყენეს. 2008 წელს ის ქვეყნიდან გაიქცა - როგორც ჩანს, მის წინაღმდეგ დაწყებული გამოძიების გამო და ამჟამად გაერთიანებულ არაბულ საამიროებში ცხოვრობს. მას მოგვიანებით დაუსწრებლად მიუსაჯეს ორი წელი კორუფციისთვის. თავისი მმართველობის პერიოდში ტაქსინ ჩინავატი ბიუჯეტიდან დიდ ფულს ხარჯავდა სამშენებლო პროექტებზე, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნიდა. მკაცრი პოზიცია ეკავა ქვეყნის სამხრეთში მოქმედი ისლამისტი სეპარატისტების წინააღმდეგ და პოპულარობით სარგებლობდა სოფლის მცხოვრებლებსა და ქალაქის ღარიბ უბნებში. ოპონენტები - ძირითადად, საშუალო ფენის წარმომადგენლები - მას კორუფციასა და პოპულიზმში სდებდნენ ბრალს.

ტაილანდი პოლიტიკურად, ფაქტობრივად, ორ ბანაკად არის გაყოფილი - პირობითად, ტაქსინ ჩინავატის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. 2010 წელს თითქმის ორი თვის განმავლობაში ჩინავატის მომხრეებს დედაქალაქის ქუჩები, ფაქტობრივად, მთლიანად ჰქონდათ დაკავებული. მაშინდელმა მთავრობამ აქციები ძალით ჩაახშო. ამას, როგორც აღვნიშნეთ, მსხვერპლიც მოჰყვა. შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში საგანგებო მდგომარეობა მოქმედებდა და სიტუაცია ჩაწყნარდა. თუმცა 2011 წელს პარტია «პჰია ტჰაიმ“ («ტაილანდისთვის“), რომელსაც ტაქსინ ჩინავატის უმცროსი და იინგლაკ ჩინავატი ჩაუდგა სათავეში, საპარლამენტო არჩევნებში მნიშვნელოვანი უპირატესობით გაიმარჯვა და, ოთხ სხვა პარტიასთან ერთად, მმართველი კოალიცია შექმნა. მანამდე იინგლაკ ჩინავატი პოლიტიკოსი, ფაქტობრივად, არ ყოფილა და კერძო ბიზნესით იყო დაკავებული.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ტაქსინ ჩინავატი დის მეშვეობით ამჟამინდელ მთავრობასაც აკონტროლებს. ოპოზიციას არ სურს, რომ ექს-პრემიერი ქვეყანაში დაბრუნდეს და თან სასჯელი თავიდან აიცილოს. ოპოზიციის ლიდერმა სუტეპ ტაუგსუბანმა კვირას მომხდარს უწოდა შენობების «სახალხო მშვიდობიანი ხელში ჩაგდება“, რომ «ტაქსინის სისტემა მეტი ფუნქციონირებდეს“. მისი სიტყვებით, მშვიდობიანი აქციები გაგრძელდება.

პრემიერ-მინისტრმა იინგლაკ ჩინავატმა ოპოზიციას «კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში“ დასდო ბრალი. მისი სიტყვებით, ეს მთავრობის სტაბილურობას ემუქრება და სახელმწიფო მოხელეებს ნორმალური მუშაობის საშუალება არ ეძლევათ. მან აღნიშნა, რომ მთავრობას 2010 წლის მოვლენების გამეორება არა სურს, რომლის დროსაც ათობით ადამიანი დაიღუპა. ჩინავატი პირობას დებს, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებს, ჩინოვნიკებს კი მოუწოდებს, საკუთარი მოვალეობების შესრულება გააგრძელონ და საპროტესტო აქციებს ყურადღებას ნუ მიაქცევენ. მისივე თქმით, ამნისტიის შესახებ კანონპროექტი საზოგადოებრივი და პოლიტიკური შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

ოპოზიციის აზრით, ამ კანონის ამოქმედების შემთხვევაში დამნაშავეთა ნაწილი დაუსჯელი დარჩება. ანალიტიკოსები შიშობენ, რომ ტაილანდში შეიძლება, პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდი კვლავ დაიწყოს.

გუშინ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიუხედავად, დემონსტრანტებმა ალყა შემოარტყეს კიდევ ოთხ სამინისტროს. ესენია: შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ტრანსპორტის სამინისტროსა და სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს. აქციის მონაწილეები ამ სამინისტროთა თანამშრომლებისგან მოითხოვენ, რომ «უკანონო მთავრობაზე მუშაობა» შეწყვიტონ. ტურიზმის სამინისტროდან თანამშრომლების ევაკუაცია გახდა საჭირო, რადგან დემონსტრანტები დენის გათიშვით იმუქრებოდნენ. თუმცა 300-მა მომიტინგემ ერთი დღის წინ დაკავებული საგარეო საქმეთა სამინისტროს ტერიტორია გუშინ დატოვა. მათ წინააღმდეგ პოლიცია ძალას არ იყენებს და აცხადებს, რომ ამას არც მომავალში აპირებს. დემონსტრანტები კი ამნისტიის კანონპროექტის ბლოკირებით არ კმაყოფილდებიან და უკვე მთავრობის გადადგომასაც მოითხოვენ.

კინოანალიტიკოსის სია

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის 70-ზე მეტი ქვეყნის პროდუქტია წარდგენილი, ფინბერგის სიის მიღმა კი რამდენიმე საკმაოდ კარგი ფილმი აღმოჩნდა, მათ შორის, წლევანდელი „ბერლინალეს“ გამარჯვებული რუმინული „ჩვილის პოზა“ (ეს ფილმი თბილისის კინოფესტივალზე იქნება წარმოდგენილი). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „გრძელ ნათელ დღეებს“ ჯერ კიდევ აქვს შანსი ხუთეულში მოხვდეს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სკოტ ფინბერგს წლის მართლაც საუკეთესო ფილმების ჩამონათვალი აქვს გაკეთებული: ირანელი ასღარ ფარჰადის „წარსული“, იუვალ ადლერის „ბეთლემი“ (ისრაელი), ჰაიფა ალ მანსურის Wadjda (საუდის არაბეთი), წლევადელი სანდენსის ფესტივალის პრიზის მფლობელი „მეტრო მანილა“ (დიდი ბრიტანეთი, რეჟისორი შონ ელისი) და იტალიელი პაოლო სორენტინოს ბრწყინვალე ნამუშევარი „დიდებული სილამაზე“, რომლის ნახვაც ასევე შეგეძლებათ თბილისის კინოფესტივალზე.

ქართული ფილმის მსგავსად „სარეზერვო“ სიაში დანიური „ნადირობა“, ფრანგული „რენუარი“, პოლონური „ვალესა“ და ჰონგ კონგური „გრანდმასტერიც“ მოხვდა. ასეთი ფილმებს შორის ექვთიმიშვილი-გროსის სადებიუტო ნამუშევრის გამოჩენა კი ნამდვილად გახლავთ პატარა წარმატება.

გადავხედოთ სხვა ნომინაციებსაც: საუკეთესო ფილმის ნომინაციისთვის სკოტ ფინბერგსაც ათი ნამუშევარი აქვს შერჩეული. პირველ ადგილს კი სტივ მაქუინის „12 წლიან მონობას“ აკუთვნებს, რომელსაც სხვა ანალიტიკოსებიც წლის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ. შემდეგ მოდის ალფონსო კუარონის კოსმიური ნირვანა „გრავიტაცია“, რომელსაც ჯონ ლი ჰენკოკის „მისტერ ბენქსის გადარჩენა“ მოჰყვება (ფილმი სტუდია „დისნის“ „მერი პოპინსზე“ მუშაობის პერიპეტიებს ასახავს, უოლტ დისნის როლს კი ტომ ჰენკსი თამაშობს). ასევე ჰომ ჰეკსი ასრულებს მთავარ როლს სკოტ ფინბერგის კიდევ ერთ ფავორიტ „კაპიტან ფილიპსში“ (რეჟისორი პოლ გრინგრასი), ხოლო დევიდ ო. რასელის American Hustle-ი ჯენიფერ ლოურენსის, კრისტიან ბეილის, ემი ადამსისა და ბრედლი კუპერის კვარტეტს წარმოგვიდგენს. სკოტ ფინბერგი ასევე ასახელებს მარტინ სკორსეზეს „უოლ სტრიტის მგელს“, ვუდი ალენის „ლურჯ ჟასმინს“, ლი დანიელსის „მსახურს“, ჟან-მარკ ვალის „დალასის კლუბს“ და ძმები კოენების ფილმს „ლევინ დევისის წიაღში“.

სკოტ ფინბერგი „ოსკარის“ მთავარ ნომინაციაში მოხვედრის შანსს შემდეგ რეჟისორებს „აძლევს“: ალფონსო კუარონს, სტივ მაქუინს, დევის ო. რასელს, მარტინ სკორსეზესა და პოლ გრინგრასს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ ამ მარათონში შეიძლება ჩაებას ვუდი ალენიც, ლი დანიელსიც, ძმები კოენები, ჯონ ლი ჰენკოკიკი, ალექსანდერ პეინი („ნებრასკა“) და სპაიკ ჯონზი (Her). ასევე „ფილომენას“ რეჟისორი სტივენ ფრირზი, „შუაღამემდეს“ ავტორი რიჩარდ ლინკლეიტერი, ძალიან კარგი „ტყვეების“ რეჟისორი დენის ვილნუვი, რონ ჰოვარდი „სწრაფი ქროლვისთვის“ და ბაზ ლურმანი „დიდი გეტსბისთვის“.

ლეონარდო დი კაპრიოს საოსკარო უიღბლობის თემა სკოტ ფინბერგის სიაშიც გრძელდება, რადგან ექსპერტი ამ მსახიობს სადღაც მეათე ადგილზე ასახელებს („უოლ სტრიტის მგელი“) და თავის ხუთეულს გვთავაზობს: რობერტ რედფორდი („ყველაფერი დაკარგულია“), მეტიუ მაკონაჰი („დალასის კლუბი“), ჩივეტელ ეჟიოფორი („12 წლიანი მონობა“), ტომ ჰენკსი („კაპიტანი ფილიპსი“) და ფორესტ უიტეკერი („მსახური“). ასევე შანსი აქვს ოსკარ ისააკს („ლევინ დევისის წიაღში“), კრისტიან ბეილის (American Hustle და „ფერფლიდან“), იდრის ელბას („მანდელა“), ჰიუ ჯეკმანს („ტყვეები“) და დანიელ რედკლიფსაც კი („მოკალი შენი ძვირფასები“).

საუკეთესო ქალი მსახიობების ხუთეულში მოხვედრილ ყველა მსახიობს აქვს „ოსკარი“, მერილ სტრიპს კი ერთბაშად სამი, თუმცა კიდევ აქვს შანსი მოიგოს ფილმისთვის „აგვისტო: ოსაჟის საგრაფო“. მის კონკურენტებად სკოტ ფინბერგი ასახელებს ემა ტომპსონს („მისტერ ბენქსის გადარჩენა“), სანდრა ბალოკს („გრავიტაცია“), ქეით ბლანშეტს („ლურჯი ჟასმინი“) და ჯუდი დენჩს („ფილომენა“). ფინბერგის აზრით, არ არის გამორიცხული ნომინაციაში ემი ადამსი, კეიტ უინსლეტი („მუშათა დღე“), ბერენის ბეჟო („წარსული“), ჯული დელპი („შუაღამემდე“) და სკარლეტ იოჰანსონიც („დონ ჯონი“) მოხვდნენ.

რაც შეეხება თავად სკოტ ფინბერგს, როგორც გითხარით, წინა საოსკარო ვარაუდებს ის დიდი ხანია, 2001 წლიდან აქვეყნებს. როგორც Hollywood Reporter-ი წერს, მან საუკეთესო შედეგი 2006 და 2013 წლებში აჩვენა, როდესაც 24 ნომინაციიდან 21 ზუსტად დაასახელა. გარდა ამისა, ერთადერთი ექსპერტი იყო, რომელმაც ნომინაციებში მოხვედრა უწინასწარმეტყველა სტივენ დოლდრის „მკითხველს“, ჯონ ლი ჰენკოკის „უხილავ მხარეს“ და ასევე სტივენ დოლდრის ფილმს „ძალიან ახლოს და წარმოუდგენლად ხმამაღლა“. ამრიგად მისი ნდობა ასე თუ ისე შეიძლება, თუმცა იმედი დავიტოვოთ, რომ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციის ხუთეულთან დაკავშირებით მაინც ცდება და „გრძელ ნათელ დღეებს“ გაცილებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე „დუბლებში“ ყოფნაა.

ლონდონში ქართული კვირეული გაიმართება

საქართველო წელს პირველად წარდგება ლონდონის საშობაო ბაზრობაზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 27 ნოემბრიდან - 2 დეკემბრამდე, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი ლონდონი ქართულ კვირეულს უმასპინძლებს.

კვირეულის ორგანიზატორია ანალიტიკური ონლაინ გაზეთი „იბერია“, ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა და ბრიტანეთში გამომავალი ქართული გაზეთი „ბრიტანეთი“.

27 ნოემბერს, 19:00 საათზე, ლანსდაუნ კლუბში ქართული კვირეული სამი ქართველი ფოტოჟურნალისტის გიორგი აბდალაძის, ირაკლი გედენიძის, ზურაბ ქურციკიძის გამოფენით „საქართველო დღეს და მაშინ“ გაიხსნება. როგორც კულტურის სამინისტრო აცხადებს, გამოფენის მიზანია მხარი დაუჭიროს მედიის თავისუფლებას.

29 ნოემბერს, 19:00 საათზე, ოქსფორდ-კემბრიჯის კლუბში დაგეგმილია ქართველი პოეტის, დავით მაღრაძის კრებულის „ჯაკომო პონტი“ ინგლისურენოვანი თარგმანის პრეზენტაცია. კრებულის თარგმანი ვიქტორია ფილდმასა და ნატალია ბუკია-პეტერსს ეკუთვნის.

ქართული კვირეულის ფარგლებში, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით მოეწყობა სპეციალური ღონისძიება. 1 დეკემბერს, ღვინის მუზეუმში „ვინოპოლისი“ გაიმართება ქართული ღვინის დეგუსტაცია და რთველი 2013-ის მიმდინარეობის პროცესის ამსახველი ფოტოგამოფენა. გამოფენის სტუმრებს საშუალება ექნებათ დააგემოვნონ სხვადასხვა სახეობის ღვინო და გაეცნონ ქართული ღვინის უნიკალურ, უძველეს ტრადიციებსა და კულტურას. ქართული ღვინის კულტურისადმი მიძღვნილ ღონისძიებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ქართული ღვინისა და საქართველოს სომელიეთა ასოციაციის წარმომადგენლები დაესწრებიან.

ლონდონის ისტორიულ უბანს, სადაც „ვინოპოლისის“ გარდა სხვა ღირსშესანიშნაობებიც მდებარეობს, ყოველწლიურად 25 მილიონამდე ტურისტი სტუმრობს. გამომდინარე აქედან, „ვინოპოლისში“ გამართული გამოფენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული ღვინის პოპულარიზაციას და დაეხმარება მას დაიმკვიდროს ადგილი ბრიტანულ ბაზარზე.

საფრანგეთის, შვეიცარიის, იტალიისა და გერმანიის შემდეგ საქართველო პირველი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრციდან, რომელიც მონაწილეობას იღებს სეზეკის რაიონში, ჰიბერნია უორფზე გამართულ საშობაო ბაზრობაზე.

კვირეული ქართული საშობაო გამოფენა-ბაზრობით დასრულდება, რომელსაც ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს, 28 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით. ხუთი დღის განმავლობაში, ჰიბერნია უორფზე, ღია ცის ქვეშ ბრიტანელ დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს და გაეცნოს ქართული ხალხური რეწვის ნიმუშებს (ნაქარგობებს, ნაქსოვებს, თექის ნამუშევრებს, ტრადიციულ ლურჯ სუფრას, სამუზეუმო თემაზე შექმნილ მინაბაძებს) და ტრადიციულ ქართულ ხელოვნებას. ბაზრობაზე ასევე წარმოდგენილი იქნება კინოს, თეატრის მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნები, ქართული მოდერნიზმის ამსახველი ნაბეჭდი პროდუქცია და სუვენირები.

საშობაო ბაზრობას 28 ნოემბერს ანსამბლ „რუსთავის» მომღერალთა გუნდის კონცერტი გახსნის. საშობაო გამოფენა-ბაზრობის მიზანია გაზარდოს საქართველოს ცნობადობა, როგორც ტურისტული თვალსაზრისით, ისე მეღვინეობის უძველესი რეგიონის კუთხით. გააცნოს ბრიტანელებსა და ლონდონის სტუმრებს მდიდარი ქართული კულტურა და პოპულარიზაცია გაუწიოს ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ლონდონის ბაზარზე.

24 საათი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

(1498

ქალაქი ქუთაისი 25 ნოემბერი 2013 წელი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების
აღნაგობის უფლებით სარგებლობის ფორმით გადაცემისათვის პირობებით
აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის
დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის ?37 დადგენილების, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის პ.გ" ქვეპუნქტის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. გამოცხადდეს პირობებით აუქციონი თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების:

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე სამხედრო ნაწილთან და ყოფილ სამხედრო ქალაქთან მდებარე (ნაკვეთი ?1) სკვერის ნაწილის /ფართობი 303 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.05.22.140/ აღნაგობის უფლებით სარგებლობის ფორმით გაცემისათვის.

მუხლი 2. დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის აუქციონის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.
/დანართი ბრძანებას თან ერთვის/
მუხლი 3. თვითმმართველი ერთეულის - ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ ორგანიზება გაუკეთოს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის უფლებით სარგებლობის ფორმით გადაცემას.
მუხლი 4. პირობებით აუქციონის წესით, აღნაგობის უფლებით, სარგებლობაში გადაცემისათვის სადეპონენტო თანხის / ბე"/ აკუმულაცია განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მერიის სპეცანგარიშზე /სს ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ქუთაისის ფილიალი, ანგარიშის ?5553303/.
მუხლი 5. ბრძანება განთავსდეს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ოფიციალურ ვებგვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.
მუხლი 6. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოსა და გაზეთ 24 საათში".
მუხლი 7. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა მურღულიამ.
მუხლი 8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა ?11/.

საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის
2013 წლის 25 ნოემბრის ? 1498 ბრძანების
დანართი

**ინფორმაცია თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში
არსებული ქონების პირობებით აუქციონის ფორმით აღნაგობის
უფლებით სარგებლობაში გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ**

თვითმმართველი ქალაქი - ქუთაისი აცხადებს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებით აუქციონს:

ლოტი ? 1. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე სამხედრო ნაწილთან და ყოფილ სამხედრო ქალაქთან მდებარე (ნაკვეთი ?1) სკვერის ნაწილის /ფართობი 303 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.05.22.140/ აღნაგობის უფლებით სარგებლობის ფორმით გაცემისათვის.

ა. საწყისი წლიური ქირა შეადგენს 970,0 /ცხრაასსამოცდაათი/ ლარი;

ბ. ბე"-ს ოდენობა შეადგენს 291.0 /ორასოთხმოცდათერთმეტი/ ლარს;

გ. ბიჯი განისაზღვროს 500.0 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

დ. აღნაგობის ვადა განისაზღვროს 25 /ოცდახუთი/ წლით.

აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები

1. თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ქონების აღნაგობის უფლებით, სარგებლობაში გადაცემის აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ქონების დასახელებას, თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის იმ ქონების საწყის წლიური ქირის ოდენობას, რომლის სარგებლობის უფლების მიღებაც სურს მონაწილეს;
ბ) ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს ქალაქ ქუთაისის მერიის სპეცანგარიშზე /ს.ს. ვითიბი ბანკის ჯორჯიას" ქუთაისის ფილიალი, ანგარიშის ?5553303/;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
დ) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
3. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი მონაწილეზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში", იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მონაწილეს გადასცემს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.
4. მონაწილეს უფლება აქვს ბე"-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში.
5. მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია ამ პირობების პირველი, მეორე და მესამე პუნქტების მოთხოვნები.
6. აუქციონში მონაწილე ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადასაცემ ქონებას.
7. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.
8. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.
9. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.
10. თითოეულ ობიექტზე ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ქონების დასახელებას, მის საწყის წლიური ქირის ოდენობას, ბიჯს.
11. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი წლიური ქირის ოდენობის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.
12. . აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას (რაც ნიშნავს საწყის ქირაზე ბიჯის დამატებას). აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ, აუქციონში გამარჯვებულად ითვლება ის მონაწილე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.

13. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს სააუქციონო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმი ინომრება ქრონოლოგიურად. ოქმს ხელს აწერს აუქციონში გამარჯვებული, სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, სააუქციონო კომისიის მდივანი და აუქციონატორი.
14. აუქციონი არშემდგარად გამოცხადდება, თუ:
ა) აუქციონში მონაწილეობის სურვილი არ გამოთქვა არავინ;
ბ) აუქციონში მონაწილეობის მისაღებად არ გამოცხადდა არცერთი მსურველი;
გ) აუქციონის მონაწილე/მონაწილეები ესწრებოდნენ აუქციონს, მაგრამ არცერთმა არ მიიღო მონაწილეობა სააუქციონო ვაჭრობაში.
15. მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დგება არშემდგარი აუქციონის შესახებ მოხსენებითი ბარათი, აუქციონის მონაწილესა და მონაწილეობის მსურველის მიერ შეტანილი ბე" სრულად ირიცხება თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ბიუჯეტში.

16. თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი

ბე"-ს ოდენობა, ხოლო, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი ბე" სრულად ირიცხება თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ბიუჯეტში.

17. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ბე" არ დაუბრუნდება.

18. აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია აუქციონის დასრულებისთანავე გადაეცემა თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც მას ამტკიცებს აუქციონის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

19. გარიგებათა გაფორმების წესი და აუქციონში გამარჯვებულის პასუხისმგებლობა
თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის ?37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

20. აუქციონი ტარდება 2013 წლის 12 დეკემბერს, 14 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2013 წლის 12 დეკემბრის 11 საათამდე. მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი ?3. ტელეფონი: 24 55 46, ქალაქ ქუთაისის მერია.

საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" აცხადებს ტენდერს ბჟუჟაჰესის სადერივაციო გვირაბის ავარიულ უბანზე გასამაგერებელ სამუშაოებზე

1. გვირაბის სარემონტო უბნის სიგრძე - 200მ
2. გვირაბის სარემონტო უბნის სიგანე - 2.1მ
3. გვირაბნის სარემონტო უბნის სიმაღლე - 2.5მ
4. სარემონტო უბანი იწყება გვირაბის შესასვლელიდან 730 მეტრში

წინადადებების წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები:
1. პრეტენდენტის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია
1.1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (უკანასკნელი მონაცემებით);
წინადადების წარმოდგენის პროცედურები:
- წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე დალუქული კონვერტით;
- განფასება წარმოდგენილი უნდა იქნას ლარებში დღგ-ს ჩათვლით;
- კომპანიისმომართვა, კომპანიისსაქმიანობისისტორიისმოკლეაღწერა.
- წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას 2013 წლის 5 დეკემბერის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: გარდაბანი დ. აღმაშენებლის ქ N2, 1300, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი წინადადებები არ მიიღება;

გამარჯვებული შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:
- ფასი;
- გადახდის პირობა;
- სამუშაოს ვადა;
- ხარისხი;
- მსგავსი საქმიანობის გამოცდილება;

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს მალხაზ სამინავა 577 62 62 m-saminava@giec.ge თ.გოგელია: 599 21 19 09

სანაძის 14 ქულა და პირველი მარცხი

დუდა სანაძის „სან დიეგო ტორეროსმა“ სეზონის პირველი მატჩი წააგო. სტუდენტური ლიგის ხუთი მოგებით დაწყების შემდეგ კალიფორნიულმა გუნდმა მარცხი განიცადა. სანდიეგოელებმა ფლორიდაში დაწყებული „გალფ ქოსთის“ მინიტურნირის მატჩში ჩიკაგოს „ილინოისის უნივერსიტეტთან“ 70:74 წააგეს.

შეხვედრა თანაბარი იყო და მისი ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა. ანგარიშში ყველაზე დიდი სხვაობა მატჩის დებიუტში დაფიქსირდა, როცა ჩიკაგოელები 13:6 დაწინაურდნენ. სანდიეგოელები მდევრის როლში იყვნენ და ჩამორჩნა რამდენჯერმე მინიმუმამდე შეამცირეს.

მატჩის კულმინაცია საფინალო სირენამდე 2-3 წუთით ადრე იყო, როცა სანაძემ ზედიზედ სამი საჯარიმო ჩააგდო და „სან დიეგო“ „ილინოისს“ 65:66 მიაახლოვა. ჩიკაგოელებმა შეძლეს სხვაობის გაზრდა და 70:65 დაწინაურდნენ, რითაც გამარჯვება გაიფორმეს.

სანაძე „ტორეროსის“ შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სასტარტო ხუთეულში მყოფმა ქართველმა უკანახაზელმა 33 წუთი ითამაშა და ჯონი დის (19) შემდეგ 14 ქულით „ტორეროსის“ მეორე მექულე გახდა. სანაძემ 6-დან 2 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. 14 ქულასთან ერთად, 5 მოხსნა, 2 დაფარება და 1 პასი მიითვალა.

„გალფ ქოსთის“ მინიტურნირის მეორე მატჩში „ლუიზიანამ“ 99:62 დაამარცხა „გრინსბრო“. „სან დიეგოს“ მორიგი მატჩი დღეს, გამთენიისას, „გრინსბოროსთან“ უწევდა.

gbf.ge

ფაცაცია „კრივბასში“: 13 ქულა, 13 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ლევან ფაცაციამ უკრაინის სუპერლიგაში ორმაგი დუბლი შეასრულა. მის გუნდს კი ცოტა დააკლდა კრივბასში ადგილობრივი გუნდის დამარცხებამდე. „აზოტს“, რომელსაც ამ მატჩამდე უკრაინის ჩემპიონატში ოთხიდან ოთხი წაგება ჰქონდა, კრივბასში 72:74 დამარცხდა.

ქართველი ფორვარდი თავის გუნდში საუკეთესო იყო. მისი სტატისტიკა საკმაოდ უხვი გამოდგა. ფაცაციამ 8-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. 13 ქულას ლევანმა 13 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა მოაყოლა. 20 ქულა დააგროვა აზოტელმა დონალდ სიმსმა, თუმცა მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი (15) ფაცაციას შედეგს (21) გვარიანად ჩამორჩება.

„კრივბასის“ შემადგენლობაში ითამაშა ამერიკელმა ნეით ბოუიმ, რომელიც 2012-13 წლების სეზონში საქართველოში, „რუსთავის“ შემადგენლობაში თამაშობდა. ბოუი კრივბასელებს 8 ქულით, 5 მოხსნითა და 3 პასით შეეშველა.

ხუთიდან ხუთი წაგებით ფაცაციას გუნდი უკრაინის ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა. შვიდიდან შვიდი მოგებით კი პირველზე ფაცაციას მეგობრის, გიორგი ცინცაძის „დონეცკია“. მომდევნო მატჩს „აზოტი“ 1 დეკემბერს „ბკ კიევთან“ უკრაინის დედაქალაქში გამართავს.

ქუთაისი. კალათბურთის ხმა

ზურა თალაკვაძე

მიხეილ გაბრიჩიძე ქუთაისში ჩავიდა. დაიწყო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის ტურნე, რომელიც ქუთაისით იღებს პირველ აკორდს. ვოიაჟი გაგრძელდება ფოთში, გადავა ბათუმში და, პატარა შესვენების შემდეგ, სხვა რეგიონებსაც მოინახულებს. ქუთაისმა კალათბურთს ბევრი დიდი პიროვნება გააცნო. საკალათბურთო უბანში მივიდა მიხეილ გაბრიჩიძეც. საინტერესო, საკალათბურთო საუბარი გაიმართა. ქუთაისის ასმეთერთმეტე სპორტულ სკოლაში გაბრიჩიძემ კალათბურთზე, მის მომავალზე ისაუბრა. ორსაათიანი შეხვედრა საინტერესოდ ჩატარდა და ყველაფერი თამაშის მომგები სამიანით დაიხურა.

სპორტსკოლაში ბავშვები გარეთ, ასფალტზე, ჩოგბურთს თამაშობდნენ. შესასვლელში მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები იდგა და ცოტა იქით, სიღრმეში, ნაცნობი და სასიამოვნო ხმები ისმოდა. კალათბურთის ხმები. ამ ხმების გამო ბევრმა ბევრი რამ შეცვალა და იმ ხმებს პატარა დარბაზამდე გავყევით. დარბაზში ბავშვები ლებრონის, არალებრონის, სხვების მაისურებში ცდილობდნენ ბურთის ეფექტურად შემოტარების, ლამაზი შესვლის გაკეთებას და ჩვენ ამ პროცესით სიამოვნებას ვიღებდით. ქორქიას, საკანდელიძის, დარსაძის ქალაქში პატარები კალათბურთს ეცნობოდნენ. პატარებს ვაკვირდებოდით. ქუთაისმა მიგვიღო და დარბაზი საკალათბურთოდ დაიქოქა. ერთი შემოტარება, მეორე შემოტარება, ლამაზი პასი, ბავშვური შეცდომა, მწვრთნელის შენიშვნა და კიდევ ერთი წრე. კიდევ ერთი საკალათბურთო წრე საკალათბურთო ერუდიციის გასაშლელად. ეს ჩვეულებრივი, ნორმალური, პატარებისთვის დასამახსოვრებელი პროცესია. ყველა ბავშვი მაგარი მოთამაშე ვერ გამოვა. ზოგს ინტერესი შეეცვლება, ზოგი კალათბურთს გაყვება და შეიძლება რამდენიმე განსაკუთრებული პერსონაჟიც მივიღოთ.

მიხეილ გაბრიჩიძე იწყებს საუბარს საკალათბურთო ნოვაციებზე და დარბაზი უსმენს ყოფილ კალათბურთელს, რომელიც იქ, ქუთაისის სპორტსკოლაში ჩავიდა არა როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი. გაბრიჩიძე კალათბურთის მეგობარია და ქუთაისში მეგობარი მოინახულა, გაახსენდა კარგი ამბები და ის დრო, რაც მას კალათბურთმა აჩუქა. «ჰიუნდაის“ მმართველ დირექტორს, პრეზიდენტობის გარდა, სხვა ამბები აქვს გასაგრძელებელი. საბავშვო სკოლა, რომელშიც 200-ზე მეტი პატარა იღებს საკალათბურთო ცოდნას. მთელ ამ მოძრაობაში მონაწილეობს მთელი «ჰიუნდაი“. არაფერი არ არის იმაზე სასიამოვნო, ვიდრე დაბრუნება წარსულში. ბრუნდები წარსულში და გრძნობ, რომ ეს შენი მომავალია. ბრუნდები წარსულში და ყველაფერი გახსენდება. ერთმა სპორტსკოლამ ბევრი მოგონება დააბრუნა. იმ მოგონებებში გარბიჩიძის საუკეთესო მეგობარი კალათბურთი იყო. სპორტის სახეობა, რომელიც ხელს არ გკრავს და უხეშად არ დაგელაპარაკება. სპორტის სახეობა, რომელიც არ ბრექობს და რომლის წრეებშიც ტყუილი არ უნდა თქვა.

ვისაუბრეთ ბავშვთა კალათბურთში მეტი ინვენტარის, მეტი ფინანსების, მეტი ყურადღების შეტანაზე. ბავშვები მეტ სითბოს იმსახურებენ. კალათბურთშიც, ბიატლონშიც, ცურვაშიც და ლეოპარდის დახსნაში ბრაკონიერებისგან. ბავშვები ამ ყურადღებას არ ივიწყებენ და ეს პროცესი ერთ დიდ წრეზე მიდის. იმ ერთ, სიცოცხლის წრეში გავდივართ ჩვენც. და იქ სიარულით არ ვიღლებით. ყველაფერი დროებითია. არიან მომსვლელები და წამსვლელები. და კალათბურთი დარჩება. პატარებთან, მოგონებებთან და კარგ ამბებთან, მეგობრულ მოგონებებთან ერთად. ესეც ჩვეულებრივი პროცესია, რომელიც მიდის და არ უნდა დასრულდეს. ეს არა მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატებმა, ყველამ იცის.

ვისაუბრეთ ასაკობრივ ჯგუფებში რამდენიმე საინტერესო ნოვაციაზე. პრეზიდენტობის ყველა კანდიდატისგან ეს ყველაზე კონკრეტული გეგმაა. უკეთესია გაკეთებულ, ბოლომდე მიყვანილ საქმეზე ისაუბრო. უკეთესი გააკეთო და მერე თქვა, რომ ვიღაცას დაეხმარე, ვიდრე დახმარების სპეკულაციებით იბრექო. ესეც ულამაზოა, ისევე როგორც სხვისი წარმატებისა და სიკეთის დავიწყება. და სხვისთვის ფეხის დადება მაშინ, როდესაც ამ ილეთის გაკეთების დროს შეიძლება შენ უფრო დაზიანდე.

ვისაუბრეთ ძველ საქმეებზე, ბევრ პროცესზე. გაბრიჩიძემ ბესიკ ლიპარტელიანს და მის გუნდს მადლობა გადაუხადა, მადლობა - საქმისა და ბევრი კარგი შედეგისთვის. საუბარი იყო ქალთა კალათბურთზეც. ქუთაისი ამ მხრივაც უნიკუმია. ეს პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებმაც იციან. ქალთა შორის ქუთაისი თითქმის ყოველთვის დედოფალი იყო.

გაბრიჩიძეს მადლობა გადაუხადა იმერეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მამუკა ჩიხლაძემ.

ძიუდოისტები ტოკიოს გზას დაადგნენ

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ აბუ დაბის დიდ პრიზზე გაახალგაზრდავებული შემადგენლობით იასპარეზა და იქიდან უშედეგოდ დაბრუნდა, დღეს პრესტიჟული ტოკიოს დიდი სლემისთვის (29 ნოემბერი - 1 დეკემბერი) - ძიგორო კანოს მემორიალისთვის ემზადება.

საქართველოს ნაკრებისთვის მთავარი სამიზნეა არა თავად შეჯიბრება, არამედ ერთობლივი ათდღიანი წვრთნები, რომელიც მემორიალის დასრულების შემდეგ დაიწყება.

საქართველოს ნაკრები ტოკიოს დიდ სლემზე:

60 კგ.
ლუხუმ ჩხვიმიანი
73 კგ.
ფრიდონ გიგანი
81 კგ.
ავთანდილ ქრიკიშვილი
უშანგ მარგიანი
90 კგ.
ვარლამ ლიპარტელიანი
100 კგ.
ალექსანდრე მსხალაძე
+100 კგ.
ლევან მატიაშვილი
გიორგი ზაქარიაძე

ამ ძიუდოისტებთან ერთად, წვრთნებში მონაწილეობას მიიღებენ ამირან პაპინაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, ნოდარ მეტრეველი და ადამ ოქრუაშვილი.

ლევან ყიფიანი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობის წევრებს შეხვდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მოადგილეებთან აკაკი ლოდიასთან და თამაზ თევზაძესთან ერთად, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს, გენერალურ მდივან მერაბ რატიშვილს და ფედერაციის გამგეობის წევრებს შეხვდა. შეხვედრას, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა, ფედერაციისა და სამინისტროს იურისტებიც ესწრებოდნენ. საუბარი იყო საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მოახლოებულ საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე, რომელზეც ხმის უფლების მქონე 40-მა დელეგატმა ფედერაციის ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს.

ითქვა, რომ არჩევნების წინ აუცილებლად უნდა მოიხნას ნერვული ფონი, რაც საკალათბურთო სამყაროშია შექმნილი და არჩევნები ჩატარდეს დემოკრატიულ გარემოში, სამართლიანობის პრინციპების სრული დაცვით.

მხარეებმა ასევე დაადასტურეს, რომ ყველანაირი გაუგებრობა და უთანხმოება ამოწურულია.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ლევან ყიფიანმა და ბესიკ ლიპარტელიანმა მედიის წარმომადგენლებისთვის ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ოთხი კანდიდატი იბრძვის: მიხეილ ახვლედიანი, კახაბერ შენგელია, ვლადიმერ ბოისა და მიხეილ გაბრიჩიძე.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 11 დეკემბერს, 12:00 საათზე, სასტუმრო «ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართება.

msy.gov.ge

მარსაგიშვილსა და მაქარაშვილს დისკვალიფიკაცია პირობითი სასჯელით შეეცვალათ

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, ლუკა კურტანიძის გადაწყვეტილებით, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებს დავით მარსაგიშვილს და იაკობ მაქარაშვილს, რომლებსაც დაახლოებით ორი კვირის წინათ 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯათ, მისივე გადაწყვეტილებით, დისკვალიფიკაცია პირობითი სასჯელით შეეცვალათ.

მოჭიდავეთა დასჯის მაშინდელი მიზეზი მოსკოვის «ევროპის ერთა თასზე“ (9-10 ნოემბერი) მათი გამოუსვლელობა იყო. მოსკოვში თავისუფალ და ბერძენ-რომაელთა ნაკრებებმა ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს, ოლონდ გადამწყვეტ ფაზაში ორივე გუნდი დამარცხდა და ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

«ამ ორი მოჭიდავის უპასუხისმგებლობა რომ არა, დღევანდელ პრესკონფერენციას «ევროპის ერთა თასის“ მოგებას მივუძღვნიდით, - 13 ნოემბერს ფალავანთა კლუბში მოწყობილ პრესკონფერენციაზე თქვა ლუკა კურტანიძემ. - მათ პირადი ინტერესები ნაკრების ღირსებაზე მაღლა დააყენეს და ამის გამო მეორე ადგილი დავიკავეთ. იაკობ მაქარაშვილისა და დავით მარსაგიშვილის 6-თვიან დისკვალიფიკაციას უკვე მოვაწერე ხელი.

17 დეკემბერს ჭიდაობის ფედერაციის დისციპლინარული კომისია შეიკრიბება და იქ გადაწყდება, ეს ვადა ძალაში დარჩება თუ გაიზრდება“.

...ოფიციალური განცხადების თანახმად, დასჯილ მოჭიდავეებს შიდა და საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლა 2014 წლის მაისამდე ეკრძალებოდათ, მაგრამ ორიოდე დღის წინ დავით მარსაგიშვილმა ბაქოს „ოქროს გრან პრიზზე“ იჭიდავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მარსაგიშვილისა და მაქარაშვილის საკითხი პრეზიდიუმის სხდომაზე მაინც განიხილება.

უკრაინაში, საერთაშორისო ტურნირზე

საქართველოს თხუთმეტწლამდელ გოგონათა ნაკრები სამშაბათ დილას უკრაინაში მიფრინავს საერთაშორისო ტურნირზე. გამგზავრების წინ გუნდმა ღია ვარჯიში გამართა სპორტკომპლექს «არენაში».

ნაკრები უკრაინაში ერთი კვირას დაჰყოფს. პირველ დღეს, კიევში, გოგონები დაესწრებიან ქალთა ტურნირს კიევში, ცნობილი მწვრთნელის, იგორ ტურჩინის პრიზზე, ხოლო შემდეგ გადავლენ კიევის მახლობლად, ქალაქ ბროვარის სახელბურთო აკადემიაში, სადაც გაიმართება საერთაშორისო ტურნირი საქართველოს, უკრაინისა და ბელარუსის ნაკრებების მონაწილეობით. მეოთხე გუნდი იქნება უკრაინის მთავარი სახელბურთო ცენტრის, ზაპოროჟიეს ნაკრები. თამაშების გარდა, ქართველი გოგონები გამართავენ ერთობლივ ვარჯიშებს მასპინძლებთან.

15-წლამდელთა გუნდი ემზადება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელიც 2015 წლის ზაფხულში გაიმართება თბილისში, ამავე წლიდან კი ჩაებმება ევროპის ჩვიდმეტწლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ნაკრებს ხელმძღვანელობს უკრაინელი მწვრთნელი მაია კარბუნარი, ხოლო მისი ასისტენტია ელისო ჟურულიშვილი.

საქართველოს გოგონათა ნაკრები (15წ)

12. თინათინ ყაველაშვილი (მეკარე, პეგასი, 165 სმ, 1998)
16. ქრისტინე ჯავახია (მეკარე, ფოთი, 168 სმ, 1998)
9. სოფი ნარიმანიძე (შუამარბი, მამული, 175 სმ, 1998)
13. ნინო გაბისონია (შუამარბი, მამული, 173, 1998)
3. ანა ყველაშვილი (შუამარბი, მამული, 163, 1998)
11. თათია გადელია (შუამარბი, ფოთი, 165, 1998)
2. თამარ ჩოგოვაძე (გამთამაშებელი, პეგასი, 160, 1999)
5. მაია ბერიძე (გამთამაშებელი, პეგასი, 160, 1999)
17. მედეა ჩოხელი (ხაზი, პეგასი, 173, 1999)
7. თეონა ჯაღათაშვილი (ხაზი, მამული, 166, 1999)
6. ქრისტინე ღვალაძე (გარემარბი, მამული, 155, 1998)
8. ნინო სიხარულიძე (გარემარბი, ფოთი, 160, 1999, 160)
18. ქეთევან ვენეცკი (გარემარბი, პეგასი, 172, 1998)
10. თამარ გიორგაძე (გარემარბი, მამული, 167, 1998)

მთავარი მწვრთნელი: მაია კარბუნარი (უკრ)
მწვრთნელი: ელისო ჟურულიშვილი

Geohandball.ge

დროა საქართველო უფრო მაღალი დონის ტურნირში ჩავრთოთ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასისთვის გადაიზარდა

პირველი გვერდიდან

«რაგბის ქართველ გულშემატკივარს ვუსურვებ ამ გამარჯვებას. მთავარი ის არის, რომ ეს წარმატება დამსახურებული იყო. ეს იყო სწორი და მიზანმიმართული მუშაობის შედეგი ყველა მიმართულებით. ამით მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ თუ სწორად აირჩევ პრიორიტეტებს, თუ სწორი მიმართულებით ივლი, მიუღწეველი არაფერია.

პირადად მე, როგორც ერთი ადამიანი, რომელიც მეორე დონის სარაგბო ქვეყნებს ვკურირებ, ძალიან კმაყოფილი ვარ. სტადიონზე არაჩვეულებრივი ატმოსფერო იყო. ინვესტიციამ, რომელიც ქართული რაგბისთვის გავიღეთ, გაამართლა.

დიდი სარაგბო დღე იყო. მოედანზე ორი შესანიშნავი გუნდი თამაშობდა და უფრო ძლიერმა გაიმარჯვა.

- როგორ ფიქრობთ, რა გამოხმაურება მოჰყვება საქართველოს ნაკრების ამ გამარჯვებას მსოფლიოში?

- საქართველოს ნაკრების გამარჯვებას უკვე მოჰყვა გამოხმაურება. „ბორჯღალოსნებმა“ ფურორი მოახდინეს. სამოას ნაკრებმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში უელსის, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებები დაამარცხა. ესე იგი, საქართველოს ეროვნულ გუნდს აქვს საფუძვლიანი პრეტენზია, რომ უფრო მაღალ დონეზე ითამაშოს.

რაც ყველაზე სასიხარულოა, ახლახან რიჩი დიქსონმა მითხრა, რომ საქართველოს ნაკრებში იყვნენ ახალგაზრდული ნაკრებიდან გადმოსული მოთამაშეები. იყვნენ ისეთები, რომლებიც შინ, ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობენ. ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ საქართველოს რაგბის კავშირში პროფესიონალიზმი გაიზარდა. ყველა საკვანძო თანამდებობაზე კომპეტენტური ადამიანები მუშაობენ.

- რა სამომავლო გეგმები აქვს რაგბის საერთაშორისო საბჭოს ქართულ რაგბისთან დაკავშირებით?

- ჩვენ გავაგრძელებთ ქართულ რაგბიში ინვესტიციების ჩადებას. მეტი ყურადღება მიექცევა კლუბებს. ვეცდებით, ქართული გუნდები რომელიმე მაღალი დონის ტურნირში ჩავრთოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ძლიერი კლუბების გარეშე ძნელი იქნება განვითარება.

რაგბის საერთაშორისო საბჭო საქართველოს რაგბის კავშირს ყველა შემთხვევაში დაეხმარება, რადგან თქვენი ნაკრები არ თამაშობს ექვსი ერის გათამაშებაში, რომელიც კომერციული ტურნირია. ვფიქრობ, ფინანსური დახმარება აუცილებელი იქნება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობისა და კერძო სექტორის მხრიდან დახმარებასაც. სამოასთან მატჩს, სპორტის მინისტრთან ერთად, სხვა სამინისტროების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. იმედი მაქვს, მათ დაინახეს, როგორ უყვართ და შეუძლიათ ქართველებს, რაგბი მაღალ დონეზე ითამაშონ. ამისთვის შესაბამისი მხარდაჭერაა საჭირო.

ინვესტიცია ონკანი არ არის, რომ ხან დაკეტო, ხან მოუშვა. ის სულ ღია უნდა იყოს და დაფინანსება უწყვეტად მოედინებოდეს. იმედი მაქვს, ასეც იქნება.

- ხომ არ არის ცნობილი, რომელი ქვეყნების გუნდები იქნებიან ჩვენი ნაკრების მეტოქეები მომავალი წლის ნოემბრის ტესტებზე?

- ნოემბრის ტესტებს ქართული რაგბის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, წლევანდელმა მატჩებმა საქართველოს ნაკრებს დიდი გამოცდილება შესძინა. მორაგბეებმა ბევრი რამ ისწავლეს. რაგბის საერთაშორისო საბჭო ელოდება წყნარი ოკეანის ერთა თასის გათამაშების შედეგებს. ვნახავთ, როგორ სახეს მიიღებს რეიტინგი და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, ვისთან ვათამაშოთ საქართველოს ნაკრები.

სამოასთან მატჩმა გვიჩვენა, რომ დროა საქართველოს ეროვნული ნაკრები უფრო მაღალი დონის ტურნირში ჩავრთოთ, ვიდრე ევროპის ერთა თასის გათამაშებაა. ვფიქრობ, თქვენი ნაკრები უკვე გადაიზარდა ამ შეჯიბრებისთვის. ამასთან, უფრო მაღალი დონის გუნდებთან თამაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შემდგომი განვითარებისთვის.

მთავარია, ქართულმა რაგბიმ შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი ხიბლი, თავდაუზოგავი, ჟინიანი თამაშის სტილი. ქართველი მორაგბეები მთელ სულსა და გულს დებენ თამაშში. ეს კი წარმატების საწინდარია.